სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#23 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის და მე-8 მუხლის მეექვსე პუნქტის, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 187-ე მუხლის 1 პუნქტის, ასევე 152-ე მუხლის მესამე პუნქტის და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მოთხოვნით, მისი 2026 წლის 29 აპრილის N 1-765 წერილის საფუძველზე

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება **2026 წლის 8 მაისი, 11:00 საათზე, დისტანციურ ფორმატში.**

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   i. აქციონერის შენატანის განხორციელების ვადის ცვლილება

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2026 წლის 8 მაისი,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება ონლაინ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები.
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და სენბის ვებ-გვერდზე.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli Galdava 01024051256

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2026.05.07 14:40:27

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის “ (სენბი)
<u>რიგგარეშე</u> საერთო კრების ოქმი #23/2026 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 187-ე მუხლის 1 პუნქტის, ასევე 152-ე მუხლის მესამე პუნქტის, ასევე 152-ე მუხლის მესამე პუნქტის და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2026 წლის 29 აპრილის N 1-765 წერილის საფუძველზე, მოწვეულ იქნა სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ რიგგარეშე საერთო კრება 2026 წლის 8 მაისს.

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

საკითხი #1: აქციონერის შენატანის განხორციელების ვადის ცვლილება

მეწარმეთა შესახებ კანონის 152-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას ან მისი კაპიტალის გაზრდისას აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის ან მისი კაპიტალის გაზრდის მომენტიდან 5 წლის ვადაში, თუ წესდებით უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული. გამომდინარე აქედან აქციონერს აქვს უფლება შენატანის განხორციელების ვადა გაზარდოს მოთხოვნილი პერიოდით, აქციონერთა საერთო კრების თანხმობისამებრ.